პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 3 დეკემბერი 1625 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

275 (973)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## განამტკიცე დისციპლინა სწრაფად და სწორად შეასრულე მეთაურის ბრძანებები.

მტკიცე დისციპლინა—წითელი არმიის ძლიერების საფუძველია. ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს და ეხლაც ვლაპარაკობთ ამის შესახებ, რათა ყოველმა წითელარმიელმა საფუძვლებით შეითვისოს და შეიგნოს ეს ჭეშმარიტება.

არ კმარა მარტო შეგნება. საჭიროა თითეული წითელი მებრძოლი თავისი მუშაობით და ყოფაქცევით ყოველმხრივ ამაგრებდეს ამ დისციპლინას. პირველი და მთავარი პირობა დისციპლინის დაცვისა არის უფროსის, მეთაურის ყველა ბრძანებების დაუყონებლივ და სისწორით შესრულება. თითეული წითელი არმიელი მოვალეა სინდისიერათ, გულმოდგინეთ მოეპყრას თავის ვალდებულებებს. ის წითელი არმიელი, რომელიც კეთილსინდისიერად ექცევა თავის ვალდებულებებს, გულმოდგინეთ სწავლობს სამხედრო საქმეს, პატივისცემით ეპყრობა თავის მეთაურს და ამხანაგებს, ღირსეული შვილია წითელი არმიის.

ასეთ წითელარმიელს არაფრის არ უნდა ეშინოდეს. ხშირი შემთხვევაა, როცა წითელ არმიელი ერთგვარ შიშს განიცდის თავისი უფროსის წინაშე და ამ ნიადაგზე მასთან საუბრის დროს წითლდება, იბნევა, ვერ იძლევა სწორ პასუხს და სხვა. ეს დაუშვებელია. წითელ არმიელი, მეთაური, პოლიტმუშავე—ყველანი ერთ დიდ საქმეს—საბჭოთა კავშირის მშრომელთა დაცვას ემსახურებიან. სამივენი ერთი და იმავე—მუშურ-გლეხურ ოჯახს ეკუთვნიან. მაშ რა შუაშია აქ შიში! არავითარ შიშს ადგილი არ აქვს ამ შემთხვევაში. მეთაური—უფროსი გამოცდილი ამხანაგია წითელარმიელის. მეთაური ასწავლის წითელარმიელს სამხედრო საქმეს და ზრდის მას როგორც კარგ მეომარს. ამიტომაც თვითეული მისი ბრძანება სამსახურის დროს შესრულებულ უნდა იქმნას დაუყონებლივ და კარგად. თუ წითელარმიელმა ვერ გაიგო, ან ცუდათ შეასრულა გამოუცდელობის გამო, მეთაური მას ამისათვის კი არ გაუწყრება ან დასჯის, არამედ მიუთითებს შეცდომაზე, გაუსწორებს და დაარიგებს.

რაც შეეხება ზარმაც, დაუდევარ და თავის მოვალეობისადმი გულგრილად განწყობილ წითელარმიელებს, ასეთების გამოსწორებას უნდა ეცადონ არა მარტო მეთაურებმა, არამედ მოწინავე წითელარმიელებმაც. ამ უკანასკნელებმა უნდა დაარცხვინონ ზარმაცები, ხელი შეუწყონ ჩამორჩენილების წინ წაწევას.

ამრიგად ყველა წითელარმიელმა უნდა იცოდეს შემდეგი: 1) რომ მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინა წითელი არმიის ძლიერების მთავარი პირობაა, 2) წითელი არმიის დისციპლინა არის დამყარებული თვით წითელარმიელების რევოლიუციონურ შეგნებაზე, 3) ყოველგვარ უდისციპლინობას სასტიკად უნდა ებრძოლონ არა მარტო მეთაურები, არამედ წითელარმიელებიც, 4) მეთაურის ბრძანებების სწრაფად და სწორად შესრულება—დისციპლინის აუცილებელი პირობაა!

ეს ოთხი დებულება კარგად უნდა შეითვისოს თითეულმა ახალგაზრდა წითელარმიელმა და მთელი თავისი რევოლიუციონური შეგნებით კიდეც უნდა გაატაროს ცხოვრებაში. დისციპლინიანი, შეგნებული, მშრომელი ხალხისადმი თავდადებული, უშიშარი წითელარმიელი—აი რით არის ძლიერი წითელი არმია.

# ახალი რადიო-ამბები

## რუმინეთის ფაშისტების საქმიანობა.

### ამზადებენ ებრაელთა დარბევას.

რუმინეთის ფაშისტები და ანტი-სემიტური ორგანიზაციები სემიგრადიის ქალაქებში და სოფლებში აწარმოებენ კამპანიას, რათა გამოიწვიონ ებრაელთა დარბევები.

სემიგრადიის მუშათა ორგანიზაციებმა მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას მიიღონ ზომები ალვირახსნილ ფაშისტების წინაამდეგ.

## ლოკარნოს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს

ევროპის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას.

## საბჭოთა კავშირში.

### მილიარდ სანათიანი ელექტროს სანათი

პროფესორ გენკელმა პროფესორ ბულგაკოვისა და მიტკევიჩის თანამშრომლობით დაამზადა მილიარდ სანათიანი ახალი ელექტროს სანათი.

## საქართველოში

### მფლანგველის დაპატიმრება

იმავე მაზრაში დაპატიმრეს ლიის რაიონის ფოსტის კანტორის ყოფილი უფროსი დიმიტრი შელია, რომელმაც რამოდენიმე თვის უკას მიითვისა 28.000 მანეთი და მიიმალა.

## სამუდამო ციხის მისჯითაც არ დაკმაყოფილდენ.

რემედისის ალმასკომმა მიიღო ცნობა, რომ გროს-სტრელიცის ციხის ადმინისტრაცია (გერმანიაში) სასტიკ ზომებს მიმართავს გამოჩენილ კომუნისტ მაქს გელცის წინაამდეგ, რომელსაც სამუდამო ციხე აქვს მისჯილი. გელცმა რამოდენიმეხელ გამოაცხადა შიმშილობა ციხის მოხელეების მხეცურ მოქმედების წინაამდეგ საპროტესტოდ.



მაქს გელცი

გელცის მიმართ ციხის მოხელეების მიერ არა ადამიანურმა მოპყრობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მშრომელთა შორის. მთელ რიგ ქალაქებში იმართება საპროტესტო მიტინგები ადმინისტრაციის ჯალათურ ზომების წინაამდეგ.

### ყაჩაღის მოკვლა

ზუგდიდის მაზრაში სამაზრო მილიციის მიერ მოკლულ იქნა ყაჩაღი ტარასი ხუბულავა.

## „წითელ პუტილოვის“-ს ორთქმავლები.

გამოცდილი იქნა ქარხანა წითელ პუტილოველის მიერ დამზადებული სამგზავრო და საბარგო ორთქმავლები.

გამოცდამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა ორთქმავლები არამც თუ ნაკლები ღირსებისაა, არამედ კიდეც სჯობნის ომამდე დამზადებულ ორთქმავლებს.

## აზერბეიჯანი.

### ნავთის ამოღება ნოემბერში

#### ნავთის ნაწარმოების გატანა საზღვარგარედ

მთელ აზერბეიჯანის ნავთის საწარმომ ნოემბრის განმავლობაში ამოიღო 425.257 ტონა ნავთი.

ნავთის მოცემაში პირველი ადგილი უჭირავს ბიბიეიბატის მოედანს—120.813 ტონა, მეორე ადგილი რამანინსკის—72 697 ტონა.

შვეიცარიამ გარიგების თანახმად უნდა გაიტანოს ახლო მომავალში ბათუმის ნავთსადგურიდან 7.300 ტონა მანქანის ზეთი.

## რ ხდება პოლონეთში.

ეკონომიური კრიზისი ციებცხელებასავით მოედო არა მარტო ისეთ სახელმწიფოებს, როგორც საფრანგეთია, არამედ ისეთებსაც, რომლებიც ამ დიდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ერთგული დამქაშები არიან, როგორც მაგ. პოლონეთია. დიდხანს ეკადა პოლონეთის ყოფილი მთავრობა როგორმე შეეჩერებინა ფინანსიური კრიზისი, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთის ფრანკთან ერთად პოლონეთის ფულიც დაექანა უფსკრულისაკენ. მთავრობა უძლური გახდა შეეჩერებინა ფულის დაცემა და გადადგა.

რამ დასცა პოლონეთის ფული?

საერთო ეკონომიურმა კრიზისმა. პოლონეთის მრეწველობა დაეცა. დაეცა საგარეო ვაჭრობაც. პოლონეთის საუკეთესო მიწები მემამულეების ხელშია. დღითი დღე მრეწველობის დაცემის გამო იზრდება უმუშევართა რიცხვი, ეცემა სასოფლო-მეურნეობაც. თითეულ ას გლეხში 64 მცირე რაოდენობის მიწის პატრონია.

ყოველივე ამან ბოლო მოუღო პოლონეთის ეკონომიურ წონასწორობას და გამოიწვია ფინანსიური კრიზისი. დიდ საგონებელში ჩავარდა პოლონეთის ბურჟუაზია და მემამულეთა კლასი. დიდ ხანს ეძებეს მათ მთავრობა და როგორც იქნა ძლივსღა შეადგინეს სკშინსკის მეთაურობით. სხვათა შორის პოლონეთის სათავეში ჩადგომა სცადა პილსუცკიმ, რომელიც ცნობილია, როგორც მუშების ჯალათი. ოდესღაც პილსუცკი სოციალისტი იყო (მენშევიკი). 1922 წლამდი ის პოლონეთის მეთაური იყო. ის მიეყიდა ბურჟუაზიას და საზიზღრად გასცა რევოლიუცია. ის სასტიკად სდევნიდა რევოლიუციონურ მოძრაობას. როცა მან შეასრულა თავისი ჯალათური როლი და ბურჟუაზიამ გაიმაგრა წელი, ის გადააყენეს.

პილსუცკიმ ამ ჟამად მოისურვა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, მაგრამ უნაყოფოდ. ის ფიქრობს უხეში ფაშისტური დიქტატურის გამეფებას პოლონეთში. ჯერჯერობით ეს მას არ გაუმართლდა, ვინაიდან ამის წინააღმდეგია პოლონეთის ბურჟუაზია, რომელიც სცდილობს როგორმე მოაგვაროს შექმნილი ეკონომიური კრიზისი.

დიდათ საეჭვოა, რომ პოლონეთის კაპიტალისტებმა მიაღწიონ მიზანს. ასე, რომ ფაშისტური გადატრიალების საფრთხე მაინც არ არის აცილებული პოლონეთში.

პოლონეთია ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფო და თანაც მეტად მოუსვენარი მეზობელი. ამიტომაც ამ სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობა დაჟინებით გვიკარნახებს ჩვენ ფხიზლად უთვალთვალოთ იქაურ ამბებს და თოფიც მაგრად გვეჭიროს ხელში.

—ე.

## განცხადება

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს ქ. თბილისში მდგომ ნაწილების ყველა სამხკოთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 5 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია

თათბირი,

რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სამხკოთა მუშაობის ამოცანები.
2. მიმდინარე კითხვები.

ნაწილების სამხკოთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „წითელ არმ.“ რედაქცია.

# საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა.

## ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

### მეორე სხდომა.

1 დეკემბერს, საღამოს, ყრილობის სხდომა შესდგა სახალხო სახლის დარბაზში ამხ. შალვა ელიავას თავმჯდომარეობით. საქართ. კომპარტიის ცეკას საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. მ. კახიანს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხანაგებო! ამ ხანად პარტიული ყრილობა ცოტა დაგვიანებით იკრიბება. ეს იმიტომ, რომ ყრილობათა მოწვევა შეფარდებულია წინა სამეურნეო წლის დასასრულთან და ახალის დასაწყისთან. აი ამიტომ ჩვენს საანგარიშო მოხსენებაში დაგვჭირდება შევეხოთ ცეკას მოქმედების ხანგრძლივ და საკმაო პერიოდს—$1^1/_2$ წელიწადს.

ჩვენს მოხსენებაში გვსურს შევეხოთ ცენტრალურ კომიტეტის მთავარ მომენტებსა და საფეხურებს.

**პარტიის მესამე ყრილობის შემდეგ.**

მესამე ყრილობა პირველი ლეგალური ყრილობა იყო, რომელმაც მართლაც მოუღო ბოლო ფრაქციულ ბრძოლას, რომელიც გასაბჭოების დროიდან სამი წლის განმავლობაში მღრღნიდა ჩვენს პარტიულ რიგებს. ამ ყრილობამ მოსპო ყოველნაირი დაჯგუფება და დაამყარა პარტიის სრული მთლიანობა. ეს იყო დიდი მონაპოვარი პარტიისათვის, რომლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა წარმატებითი მუშაობა, საქართველოს ფართე მშრომელი მასების პარტიის ირგვლივ შემოკრების საქმეში.

მთავარი დირექტივები, რომელიც მესამე ყრილობამ მისცა პარტიას, მდგომარეობდა იმაში, რომ პარტიაში დაეცვათ ურყევი მთლიანობა, განემტკიცებიათ და გაეღრმავებიათ კავშირი გლეხობასთან და გეზგაუხრელად გაეტარებიათ პარტიის დადგენილებანი სოფლად მუშაობის შესახებ, სამეურნეო მუშაობის გაცხოველება და განგრძობა სწორი ეროვნული პოლიტიკისა და სხ. ამ დირექტივების გატარებისათვის ცეკა ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა. ამ ხნის განმავლობაში ცეკა სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ყველა მომენტებს და გამოქონდა შესაფერი დასკვნები, რომლებიც მდგომარეობდა შემდეგში:

**აგვისტოს ავანტიურა და მენშევიზმი.**

ამის შესახებ ბევრი დაიწერა თავის დროზე, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი მტრების მიერ. წასულ წელში, ოქტომბერში ცეკას გაფართოებულმა პლენუმმა შემდეგნაირად შეაფასა აგვისტოს ავანტიურა: „შეიარაღებული გამოსვლები საქართველოში მოხდა არა მასიური უკმაყოფილების ნიადაგზე, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იყო იმპერიალისტებისა და მეორე ინტერნაციონალის შეკვეთით. საქართველოში ამ დავალებას ასრულებდნენ მენშევიკები და ეროვნულ დემოკრატები, რომლებმაც შეადგინეს „კონტრ-რევოლიუციის პარიტეტული კომიტეტი“.

უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ წარსული წლის აგვისტოში ჩვენ საქმე არ გვქონია სერიოზულ შინაგან პოლიტიკურ კრიზისთან, რომელიც ემყარებოდა მუშების და გლეხების ფართო მასების უკმაყოფილებას.

მაგრამ ის გარემოება, რომ ავანტიურაში მაინც მიიღო მონაწილეობა გლეხობის უმნიშვნელო პროცენტმა, ავალებდა პარტიას გამოესწორებია ყველა ის შეცდომები, რომელიც დაშვებული იყო სოფლად მუშაობაში.

**მუშაობა ყოფილ მენშევიკთა შორის.**

ჯერ კიდევ აგვისტოს ავანტიურამდე ერთი წლით ადრე მენშევიკურ პარტიას ჩამოცილდა მუშების და ღარიბი გლეხების საგრძნობი ნაწილი, რიცხვით 12 ათასი მუშა.

აგვისტოს ავანტიურის შემდეგ კი სამუდამოდ დაიღუპა მენშევიკური პარტია. ამ სამარცხვინო მოვლენამ თვალი აუხილა ყველა მერყევ ელემენტებს და დაარწმუნა ყველა მენშევიზმის დაღუპვის აუცილებლობაში. ამის შემდეგ 12 ათას მუშას მიემატა კიდევ 11 ათასი მუშა, რომლებმაც აღიარეს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კომპარტიის ხელმძღვანელობით.

**უცხოეთის დელეგაციები.**

იმ სიყალბის გასაბათილებლად, რომელიც ვრცელდება სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია და კიდევაც გვიწევენ სოც. საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში მოსული საზღვარ გარეთის მრავალ რიცხოვანი დელეგაციები.

საქართველოს მენშევიკები, რომლებიც გაიქცნენ აქედან, ჩვენს წინააღმდეგ ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს და არწმუნებენ დასავლეთ ევროპის მუშებს, თითქოს საქართველოში ადგილი ქონდეს არ ნახულ ამბებს. მაგრამ მოსული დელეგაციები, თავიანთი თვალით ნახულობენ ყველაფერს და აქედან დაბრუნებულები აბათილებენ თავიანთ ქვეყნებში გავრცელებულ სიყალბეს. დღემდე ჩვენს ქვეყანაში მოვიდა სულ 15 დელეგაცია.

**ეროვნული კულტურის საკითხი.**

საქართველოში ენისა და ეროვნების პრინციპი მაქსიმალურ დონეზეა აყვანილი. სახელმწიფოს ბიუჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯება საქართველოს სასკოლო ქსელის გაფართოებისა და განათლების დარგზე. ფრიად ბევრი რამ არის გაკეთებული ხელოვნების, თეატრის, ლიტერატურისა და ბეჭვდითი სიტყვის დარგში. ჩვენი პარტიის ცენტრ. ორგანო გაზ. „კომუნისტი“ იბეჭდება 22.000 ცალი. გაზ. „ახალი სოფელი“ 17.000 ცალი. ქართული ბეჭვდითი სიტყვის ისტორიას ტირაჟის ასეთი ზრდა არ ახსოვს. მენშევიკების დროს გაზ. „ერთობა“ იბეჭდებოდა 10.000 ცალი. ამასთანავე ერთად მესამე ყრილობიდან დღემდე გამოშვებულია „სახელგამი-ა“ და „ამიერ-კავ. წიგნის“ მიერ ქართულ ენაზე ერთ მილიონზე მეტი ეგზემპ. წიგნი.

**მუშაობა სოფლად.**

ჩვენი პარტიის ცეკამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფლად მუშაობის საკითხებს. ცეკამ საჭიროდ სცნო, რომ პარტიული და საბჭოთა მუშაობის მთელი სიმძიმე გადაეტანა სოფლად, და ამ საშუალებით გაეჯანსაღებია პარტუჯრედების მუშაობა სოფლად და საბჭოთა მუშაობაში ჩაებათ უპ. გლეხობის ფართო მასა.

ცეკას ეს დირექტივები პარტორგანოების მიერ ტარდებოდა ცხოვრებაში.

(გაგრძელება ხვალ)

# ახალწვეულო, გულმოდგინეთ შეუდგით სამხედრო-საქმის შესწავლას.

ჩვენს მუშურ-გლეხურ ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს. ისინი კარგად არიან შეიარაღებული და მზად არიან მოხერხებულ დროს გამოილაშქრონ ჩვენზე. მტრებმა რომ ვერაფერი გაწყინოს, უნდა შეგვეძლოს მათთან ბრძოლა ყველა საშუალებით, როგორიც კი არსებობს. ხოლო ეს რომ შეგვეძლოს, უნდა ისწავლო სამხედრო საქმე. სამხედრო საქმე არც ისე ადვილი რამაა: ის მოითხოვს სამხედრო ცოდნას, სამხედრო დახელოვნებასა და გამოცდილებას. როცა ბრძოლის დრო დადგება, მაშინ გვიანღა იქნება სწავლა.

ცეცხლ ქვეშ სწავლა ძვირი ჯდება.

ერთმა დიდმა სარდალმა სთქვა:

„თუ სწავლა მძიმეა—ლაშქრობა და ბრძოლა ადვილია; თუ სწავლა ადვილია—ბრძოლა მძიმეა“. ეს ნიშნავს: თუ მშვიდობიან დროს ერთგულად სწავლობ, ომში, ბრძოლის ველზე ადვილად დასძლევ საბრძოლო ცხოვრების, საბრძოლო გარემოების სიძნელეებს. კარგად გაწვრთნილ მეომარს ეცოდინება როგორ დაამარცხოს მტერი და თითონ ტყვილა უბრალოდ არ დაიღუპება.

პირიქით, თუ სამხედრო სწავლას ერთგულად არ ეპყრობა, არ აძლევს ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას, ბრძოლის დროს გაუჭირდება: თვითონ უბრალოდ დაიღუპება და ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს.

მაშასადამე, რომ შეეძლოს ბრძოლა კარგად გაწვრთნილ მტერთან, რომ დაამარცხოს ის ნაკლები მსხვერპლის გაღებით, თვითეულ წითელ არმიელმა გულმოდგინეთ, ერთგულად უნდა შეუდგეს სამხედრო საქმის შესწავლას.

1-ლ დეკემბრიდან იწყება გულდაგული მეცადინეობა. ახალგაზრდა წითელ არმიელები პირველად ჰკიდებენ ხელს სამხედრო საქმის შესწავლას. ეს სწავლა აგებულია იმ გეგმით, რომ ყველაფერი, რის გაკეთებაც კი მოუწევს მებრძოლს ომში, ის სწავლობს თავისი სამსახურის 2 წლის განმავლობაში. ჯერ ეცნობა უბრალო საკითხებს, გადის ცალკეულ სწავლას, შემდეგ გადადის უფრო რთულ განყოფილებებზე და ბოლოს ასრულებს თავის საბრძოლო მუშაობის სწავლას ათეულის, ასეულის, ოცეულის შემადგენლობაში. ასე ამ რიგად მეომარი სწავლობს სამხედრო საქმეს.

გახსოვდეს, რომ ცოდნა ძალაა ყოველ საქმეში, ხოლო სამხედრო საქმეში ეს ძალა მეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან უვიცობა აქ ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს.

პ.

# მოუარე ცხენს

## ის ადამიანის კარგი მუშამეგობარია.

ცხენოსან ნაწილებში (ცხენოსანი, არტილერია) ახლად მოსული წითელ არმიელები იარაღთან ერთად ღებულობენ ცხენსაც; აგრეთვე სხვა ნაწილებშიც (ქვეითი, მესანგრე) ბევრ წითელ არმიელს ჩააბარებენ ცხენს; ასე რომ თვითეულ წითელ არმიელს უნდა შეეძლოს ცხენის მოვლა. თუ კი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი და სხვა მოითხოვს მოვლას, მით უფრო ცხენიც, როგორც ცოცხალი არსება მოითხოვს აგრეთვე განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას. ცხენის ძალასა და მის ამტანობას დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე სამხედრო საქმეში. ადამიანი მუშაობის დიდ ნაწილს აკისრებს ცხენს, რომელსაც სამხედრო საქმეში ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შესცვლის მატარებელი, ავტომობილი, ჰაეროპლანი და სხვა. ხოლო იმისთვის, რომ გამოვიყენოთ ცხენი და მისი მუშაობის უნარიანობა, კარგად უნდა მოუაროთ მას. ყოველი მანქანა გაფუჭდება და აღარ იმუშავებს, თუ მას არ ექვს მოვლა. ცხენი ხომ ცოცხალი საგანია. სულ მცირედი უყურადღებობაც კი აქარა უტეხს მას ჯანს და სრულიად უვარგისად ჰხდის მას მუშაობისათვის. ამიტომ თვითეულ წითელ არმიელმა, რომელსაც აბარია ცხენი უნდა შეინახოს და მოუაროს მას ისე, როგორც თავისთავს, იარაღს, ტანსაცმელსა და სხვა

მან კარგად უნდა შეისწავლოს ცხენის მოვლის წესები და სასტიკად დაიცვას ის. მან უნდა შეისწავლოს თავისი ცხენი, რათა იცოდეს, თუ რა შეიძლება მოსთხოვო მას და რა არა. და აი, როცა წითელ არმიელს ეცოდინება თავის ცხენი, ერთგულად მოუვლის მას, თავთავის დროს აჭმევს, ასმევს, გასწმენდს და სხვა, ამით ის დაიცავს მის ჯანს და მაშასადამე, მის მუშაობის უნარიანობასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ცხენი მეომრის საუკეთესო მეგობარია და გაჭირვების დროს ის იხსნის მას ხიფათისაგან.

პ.

# შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

## 1905 წლის მოძრაობა ამიერკავკასიაში.

მთელი რუსეთის ტერიტორიაზე 1905 წლის მოძრაობის დროს არ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც მშრომელებს ასე თუ ისე არ გამოეთქვას თავისი პროტესტი კაპიტალისტების, მემამულეებისა და მეფის წინააღმდეგ. რუსეთის პროლეტარიატთან იბრძოდა აგრეთვე ამიერკავკასიის მუშები და გლეხობა. განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მოძრაობაში საქართველოს გლეხობა: ის გამოდიოდა თავად-მემამულეების წინააღმდეგ, ართმევდა მიწებს და დევნიდა მამულებიდან.

ამიერკავკასიის მუშები და გლეხები რუსეთის მუშებსა და გლეხებთან ერთად იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიაში მუშებისა და გლეხების გამოსვლების მიზეზები ისეთივე იყო, როგორიც რუსეთში.

მუშთა კლასის მდგომარეობა მეტად ცუდი იყო: მცირე ხელფასი, მძიმე საბინაო პირობები, 12—14 საათის სამუშაო დღე. 1904 წლის დეკემბერში გაიფიცა ბაქოს მუშები. წამოაყენეს მოთხოვნილებათა მთელი რიგი, მათ შორის 8 საათის სამუშაო დღე. ამ მოთხოვნილებების წინააღმდეგ სასტიკად ამხედრდა ბაქოს ნავთის მრეწველები.

განსაკუთრებით მძიმე იყო სპარს და თურქ მუშათა მდგომარეობა. სოფლიდან ახლად ჩამოსულები, ისინი ნაკლებ შეგნებული იყვნენ რუს მუშებთან შედარებით. ამით სარგებლობდნენ მრეწველები და უმოწყალოდ ყვლეფავდნენ მათ.

რაც შეეხება გლეხობას, ამიერკავკასიაში მათი მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო, ვინემ რუსეთში. აზერბეიჯანისა და სომხეთის გლეხობა მეტად დაჩაგრული და ჩამორჩენილი იყო. ამით სარგებლობდნენ აზერბეიჯანის მემამულეები, ბეგები. მათ ხელში იყო მიწების უმეტესობა და თავის სურვილზე განაგებდნენ გლეხების ბედიღბალს, თვითეული მემამულე, ბეკი პატარა მეფედ გრძნობდა თავს თავის სამფლობელოში: რაც სურდა, იმას სჩადიოდა.

მეფის მოხელეები, ბოქაული, ჩაფარი მათ მხარეზე იყვნენ, ვინაიდან იმათაც ედოთ წილი გლეხების ნაოფლარში. სარწმუნოებაც მემამულეების მხარეზე იდგა: ხუცები, ტერტერები და მოლები სარწმუნოებით აბრუებდნენ გლეხობას და მყვლეფელთადმი მორჩილებას უნერგავდნენ გულში.

თავისთავად ცხადია, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არაფერი არ კეთდებოდა: გლეხები თავიანთ მცირედ მიწის ნაჭრებს ძველის ძველი წესით ამუშავებდნენ.

საქართველოს გლეხობა უფრო შეგნებული იყო, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. ქართველ გლეხებსაც აჯდა კისერზე „თავისი“ მემამულე თავადი.

**ორმაგი უღელი.**

წარსულ საუკუნეში რუსეთის მეფის მთავრობამ დაიპყრო კავკასია. მის შემდეგ მეფის მოხელეები აწარმოებდნენ ეროვნულ ჩაგვრის პოლიტიკას. ისინი ხელს უშლიდენ ეროვნებათა განვითარებას: კრძალავდენ სამშობლო ენაზე სკოლებს, გაზეთებსა და წიგნებს. მოხელეებათ რუსები მოიყვანენ, რომელთაც არაფერი ესმოდათ მოსახლეობის და მოსახლეობას—მათი. მოსახლეობის მოთხოვნილებას ისინი ყურადღებას არ აქცევდენ. პირიქით გავრცელებული იყო მექრთამეობა და ყოველგვარი უკანონო მოქმედება.

ამრიგად ამიერ-კავკასიის მოსახლეობა იყო ორმაგ ჩაგვრის, ორმაგ უღელ ქვეშ. ერთის მხრივ „თავიანთი“ კაპიტალისტები და მემამულეები, მეორეს მხრივ რუსეთის მეფის მოხელეები, რომელთაც მეთაურობდა მეფის მოადგილე კავკასიაში.

მეფის მოხელეები და ამიერკავკასიის მემამულეებთ შეთანხმებულად მუშაობდენ მშრომელთა ჩაგვრის საქმეში. ადგილობრივ თავად აზნაურობიდან ნიშნავდენ ბოქაულებს, ოფიცრებსა და ჩაფრებს. „თავისიანები“ რუს მოხელეებზე არანაკლებს ჩაგრავდენ და ყვლეფავდენ ხალხს.

ასეთი იყო ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების მდგომარეობა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აქაურ გლეხებმა და მუშებმა ისეთი აქტიური გამოსვლები მოაწყვეს 1905 წლის ბრძოლაში.

ი. ც.

„კრ. ვ.“

# უცხო სიტყვების ახსნა.

აქტიური—თავგამოდებული, საქმიანი.

ტერიტორია—სახელმწიფოს, ან რომელიმე ხალხის მიერ დაკავებული მიწის სივრცე.

კურსი—1. მიმართულება, ხაზი; 2. ქაღალდის ფულის ღირებულება მტკიცე ფულზე გადახურდავებით; 3. სწავლისთვის განსაზღვრული დრო სასწავლებელში.

ინტენსიური—გაძლიერებული.

პოლიტიკა—მთავრობის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ხაზი განსაზღვრულ შედეგების მისაღწევად.

კოლეგია—რამოდენიმე პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც განაგებს დაწესებულების საქმეებს.

# ზამთრის სწავლება დაიწყო. წითელ არმიელებო, მხნედ შეუდგებით სამხედრო და პოლიტიკურ მზადებას.

## ახალწვეულებთან დავიწყეთ მეცადინეობა.

მე-2 ლეგიონი.

26 ნოემბერს მეორე ლეგიონში შესდგა საზეიმო სხდომა ახალწვეულ წ. არმიელებთან სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობის დაწყების აღსანიშნავად.

საზეიმო სხდომაზედ დაესწრენ აჭარისტანის პარტიულ კომიტეტის, კომუნალურ მეურნეობის, საოლქო ა. ლ. კ. კ. და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებმაც მოუწოდეს ახალწვეულ წ. არმიელებს, როგორც მშრომელი ხალხის შვილებმა შეისწავლონ სამხედრო საქმე და შეიძინონ პოლიტიკურ კულტურული განვითარება, რომ შეგნებულათ და მედგრათ დაიცვან მშრომელთა ინტერესები.

კრებას დაესწრენ აგრეთვე პირველი რუსული პოლკის და დივიზიის წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმენ პირველ პოლკის ახალწვეულ წ. არმიელთა სახელით, ჩვენს ახალწვეულ წ. არმიელებს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდენ მე-2 ლეგიონის სამხ. კომისარი სხვა ამხანაგები და ძველი წ. არმიელები. თავის მხრივ იმათაც მოუწოდეს ახალწვეულებს, ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მეცადინეობას.

საბოლოოდ გამოვიდენ რამდენიმე ახალწვეული წითელ არმიელები და აღნიშნეს, რომ მათ კარგად იციან მშრომელი ხალხის მტრების პოლიტიკა, და ჩვენც ენერგიულად ვემზადებით მათ წინაამდეგ.

ერთმა ახალწვეულ წ. არმიელმა საზეიმო სხდომას მიმართა, რათა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ახლათ გარდაცვალებული ერთერთ დაუღალავი მებრძოლი წითელი გვარდიელის ჯარების ხელმძღვანელ ამხ. ფრუნზეს ხსოვნისთვის და თან დასძინა, რომ წ. არმია შეასრულებს ფრუნზეს ანდერძს. სხდომის დამთავრების შემდეგ ლეგიონის კლუბის მიერ იქნა დადგმული ერთ მოქმედებიანი რევოლიუციონური პიესა.

სამხკორი ვ. ლ.

## ახალ ძალებს შესაფერად დავხვდით.

4 ხე ლეგ. 9-რე ასეული.

ჩვენი ასეულის ყაზარმებს 20 ნოებერს ესტუმრენ ახალწვეულები, რომ ეხსაც დიდი სიხარულით შეეგებენ ასეულის მეთაურები და დარჩენილი ძველი წ. არმიელები. ასეული წინასწარ იქნა მოწყობილი ყოველმხრივად. ყაზარმები შეკეთებული, გალამაზებული, ლენინის და სამხედრო კუთხეები შესაფერად მორთული და სათანადო ლიტერატურით უზრუნველყოფილი. მათი მოსვლის პირველ-დღესვე გაიმართა საუბარი წითელი ჯარისა და ყაზარმის შესახებ. დაწვრილებით გაეცნო აგრეთვე ამხანაგებს თუ რა მნიშვნელობა აქვს წერტზე მდგომ ასეულს, როგორი მოვალეობანი აწევს მას თავზე და მრავალი სხვა.

ამავე დღეს ახალწვეულებმა ფიცი დასდვეს ნაწილის უფროსების წინაშე, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებებს, რომლებიც კი მათ მიეცემათ.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## ჩვენი სამხედრო საქმიანობიდან.

მე-6 ლეგიონი.

ლეგიონმა სამხედრო ხელოვნების განმტკიცებას, თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია. ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობის შორის სხვა და სხვა სამხედრო საკითხების მეცნიერული თვალსაზრისით განმარტება-გაშუქების, ცოდნის გაღრმავების და მეთოდიური სისტემის შემუშავება-ამორჩევის მიზნით ჩვენთან დაარსებული იქნა სამხედრო-სამეცნიერო წრე. წრის იდეური ხელმძღვანელობისათვის არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 5 წევრისაგან შემდგარი, კარგად მომზადებულ და აქტიურ ამხანაგებისაგან.

პრეზიდიუმმა აღნიშნული მიზნების გასატარებლად არჩევისთანავე დაიწყო ენერგიული საქმიანობა. წრის წევრებს შორის პრეზიდიუმის მიერ იცემოდა დავალებები სხვა და სხვა სამხედრო საკითხების დასამუშავებლათ და შემდეგ მორიგეობით მოხსენების გასაკეთებლად უფ-პოლიტშემადგენლობის კრებაზე.

წარსულ მეცადინეობაში აღსანიშნავი იყო ის ნაკლი, რომ მომხსენებლები, რომლებიც ეხებოდენ საბჭოთა კავშირის ახლო მდებარე კაპიტალისტურ სახელმწიფოების ჯარების სტრუქტურას და სამხედრო დარგში სხვა და სხვა თვისობრივ მხარეებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ჩვენდამი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკურსა და ეკონომიურს მდგომარეობას. მორიგ მოხსენებებში მის გამოსწორებისაკენ იყო ჩვენი ყურადღება მიმართული.

მაგრამ უკვე კარგახანია ზემოაღნიშნული წრის მეცადინეობა არ წარმოებულა და მგონი სრულიადაც მიიძინა.

ნეტავ რას ფიქრობს წრის პრეზიდიუმი. ნუ თუ წარსული მცირე მუშაობიდან მიღებული შედეგები დააკმაყოფილებს ჩვენი ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობას.

მეტი ყურადღება სამხედრო საქმეს და სამხედრო-სამეცნიერო წრის მუშაობას.

სამხკორი ელზაშვილი.

## ახალწვეულები ენერგიულად შეუდგენ სამხედრო სწავლებას.

1-ლი ლეგ. 1-ლი ასეული.

ახალწვეულებს ჩვენი ასეული სათანადოთ მოწყობილი შეხვდა. შესახვედრი სამზადისი ასეულმა წარმატებით ჩაატარა, მოეწყო ლენინის კუთხე სხვა და სხვა განყოფილებებით, რომლებშიდაც წარმატებით მიმდინარეობს ყოველგვარი მუშაობა. ახალწვეულები ენერგიულად ეკიდებიან მუშაობას და სცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ. საუბრების დროს ისინი ხშირად იძლევიან შეკითხვებს და მოითხოვენ სათანადო ახსნა განმარტებებს, რაც წამსვე კმაყოფილდება. არა ნაკლები ინტერესით და ყურადღებით ეკიდებიან ისინი სამხედრო საქმეს.

ასეულის მეთაურები დილიდან საღამომდე მათთან არიან და მეცადინეობის შემდეგ ატარებენ საუბრებს.

საღამოობით ასეულის ლენინის კუთხეში სწარმოებს ხმამაღალი კითხვა, რასაც დიდი შედეგი მოაქვს ახალწვეულების გონებრივად ამაღლების საქმეში.

იმედია ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება ახალწვეულებში.

სამხკორი ა. დეისაძე.

## დამთავრდა ჩვენი კურსები.

27 ნოემბერს პირველ დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან დაარსებულ კომუჯრედის მდივნების მოსამზადებელ სემინარმა დაასრულა თავისი მუშაობა.

პირველ ლეგიონში სემინარიდან მოვიდენ ექვსი წითელ არმიელი, რომლებიც უკვე შეუდგენ თავისი მოვალეობის ასრულებას. სემინარის მთელი არსებობის განმავლობაში მსმენელები დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდენ მუშაობას. იმ მცირე ხნის განმავლობაში, რომელიც იყო სემინარის განკარგულებაში, საკმაო ცოდნა შეიძინეს ამხანაგებმა.

კურსების დამთავრებისას, ლექტორებთან ერთად სემინარის მთელმა შემადგენლობამ გადაიღო სურათები. დაიდგა გარნიზონის კლუბში წარმოდგენა, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე და ამის შემდეგ ყველანი დაუბრუნდენ იმ ნაწილებს, რომლებიდანაც ისინი იყვენ მოვლენილი.

სამხკორი ვ. ჩ—ლი.

## საინტერესო საუბრები.

ცხენოსანი ლეგიონი.

პირველ ესკადრონში მუშაობა ახალწვეულებთან მიმდინარეობს ნორმალურად. ხშირად ამხ. აბრამიშვილი ატარებს საუბრებს ახალწვეულებთან ესკადრონის ლენინის კუთხეში და უხსნის მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხედრო ქიმიას. ამხ.-გი დაწვრილებით უხსნის ახალწვეულებს თუ როგორი იქნება სამხედრო ქიმიის მნიშვნელობა ომის დროს, როგორ უნდა დავიცვათ თავი მისაგან, რა მნიშვნელობა აქვს ქიმიას მშვიდობიან აღმშენებლობაში და სხ.

ახალწვეულები ძლიერ დაინტერესებული არიან ამ მოხსენებებით და დიდი ყურადღებით უსმენენ მომხსენებელს. ისინი ხშირად აძლევენ მრავალ შეკითხვებს მათთვის გაუგებარ საკითხებზე, რაზედაც მომხსენებელი აძლევს ვრცელ და გარკვეულ პასუხს.

სამხკორი ვ. კახიძე.

## ხელმძღვანელები მოისუსტებენ.

ქართ. ცხენ. ლეგიონი.

ცხენოსან ლეგიონში არის დაარსებული დრამატიული წრე, რომელიც შემდგარია ძველი წითელი არმიელებისაგან. არ ვიცი დაიღალენ თუ მოსწყინდათ—წარმოდგენებს აღარ დგამენ.

მართალია წარმოდგენები იდგმება ჩვენს კლუბში ხშირ-ხშირად, მაგრამ სხვა და სხვა წრეების მიერ და არა დრამატიული წრის ძალებით.

საჭიროა რომ დრამწრეში ლეგიონის ახალწვეულებსაც ჩააბამდენ, რომ ისინიც მოვამზადოთ ამ საქმეში. სანამ განელდებოდეს ეს ინტერესი, საჭიროა ზომებს მიიღებდეს დრამწრის ხელმძღვანელი, ახალწვეულებსაც ჩააბამდეს მუშაობაში და იქ ცოტა გამოაცოცხლოს წრე.

ახალწვეულები უფრო მეტად დაინტერესდებიან მუშაობით, ჩააბით ისინი მუშაობაში.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

რად არ ღებულობს მნე ზომებს?

პირველი ლეგ. ბატარეია.

ბატარეიაში კარგა ხანია, რომ ფეხსაცმელები აღარ გვაქვს წითელ არმიელებს, რის გამო მეცადინეობაზე ვეღარ გავდივართ. სხვა ნაწილებმა ყველამ მიიღეს ფეხსაცმელები ჩვენს გარდა, რად შევადგენთ ჩვენ გამონაკლისს? დროა მიიღოს ზომები მნემ.

წ. არმ. ჯალისხეველი.

## ჩვენს სამხკორთა შორის.

3-ე ლეგიონი.

ლეგიონში სამხკორთა წრის მუშაობა კარგად არის დაყენებული. 21 ნოემბერს გვქონდა მორიგი მეცადინეობა. მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხკორთა წრის ხელმძღვანელმა, რომელმაც დაწვრილებით განმარტა სამხკორთა მოვალეობანი.

წრეში სისტემატიურად სწარმოებს მუშაობა. მთელი ყურადღება მიქცეული აქვს სამხკორთა ღირსეულ აღზრდას.

განზრახულია ამ ახლო მომავალში სამხკორთა წრისთვის მოეწყოს ყაზარმაში ცალკე ოთახი, რის შემდეგ წრეში უფრო გაცხოველდება მეცადინეობა.

ახალწვეულები საკმაოდ არიან წრით დაინტერესებული. სულ მოკლე ხნის განმავლობაში შევსძლებთ სათანადოთ მომზადებულ სამხკორთა კადრის შექმნას.

წ. არმ. შუტუ.

## ვემზადებით წერტებზე მუშაობისათვის.

2-რე არტლეგ. 1-ლი საველე დივიზიონი.

ჩვენს დივიზიაში თითქმის ერთი თვეა მას შემდეგ რაც ვემზადებით, წერტებზე მუშაობისათვის. უფ-პოლიტშემადგენლობა ძლიერ დაინტერესებული არიან სოფელში წასვლით და იქ შესაფერი მეცადინეობის ჩასატარებლათ ენერგიულად ემზადებიან, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურად.

დივიზიონში დაარსებულია პოლიტმეცადინეობის კურსები. წერტებზე გასაგზავნი ამხანაგები აქ ემზადებიან წინასწარ.

შესაფერი მეცადინეობა მიმდინარეობს აგრეთვე იმ წითელარმიელებთან, რომლებიც უნდა წაყვენ მეთაურებს წერტებზე.

ეს ამხანაგები მთელი თავისი ენერგიით ეტანებიან დავალებულ საქმეს, რომ უფრო ნაყოფიერად აწარმოვონ მუშაობა წერტებზე.

სამხკორი გოგია მეჩონგურე.

## ჩვენი თხოვნა არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ.

3-ე ლეგიონი.

პოლიტსაათი, როგორც ყველგან ჩვენს ლეგიონშიც ტარდება კომპლექსიური მეთოდით, მაგრამ ასეთი მეთოდი მოითხოვს სათანადო ტეხნიკურ საშვალებებს, რაც ლეგიონს არ მოეპოება.

ყველაფრის შეძენა, როგორიც არის: რუქების, მაგიდების, დაფების და სკამების ლეგიონს არ ძალუძს ერთად. მივმართეთ თხოვნით პოლიტგანყოფილებას, რომ აღეძრა შუამდგომლობა ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან, რათა ამ უკანასკნელს ნაშუადღევს დაეთმო ლეგიონისათვის რომელიმე სკოლის შენობა, რომელიც საშვალებას მოგვცემდა უფრო ნაყოფიერად ჩაგვეტარებინა პოლიტსაათები. მას აქეთ გადის აგერ ორი თვე, მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ არაფერი გაკეთებულა.

დროა მოაგვარონ ეს საკითხი და მოგვცენ ნაყოფიერად მეცადინეობის საშვალება.

ქ—ძე.

# პარტიული ცხოვრება

პირველი ლეგ. 1-ლი ათასეულის კომუჯრედი.

20 ნოემბერს შესდგა პირველი ათასეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც.

გაკეთებული იქნა მოხსენება საბჭოთა კავშირის მრეწველობის ხასიათის შესახებ და შემდეგ განხილული იქნა პარტიაში შესვლის მსურველ ამხანაგების განცხადებები. პირველ საკითხზე საკმაოდ შინაარსიანი და ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგობიანმა, რომელმაც საკმაოდ სწორი ფაქტები მოგვაწოდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მრეწველობის შესახებ. იყო მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

ბოლოს განხილული იქნა ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, რაზედაც აღიძრა სათანადო ორგანოს წინაშე შუამდგომლობა მათი განცხადებების დაკმაყოფილების შესახებ.

სამხკორი ვ—ნ.

# ჩვენი პარტსაქმიანობა.

**მე-6 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა.**

სკოლაში ახალი კურსანტების მოსვლისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტ მუშაობის გამოცოცხლებას. პარტ-ამხანაგების და ახ. კომკავშირის წევრებ ს რაოდენობის გამორკვევისა და თვითეულის აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ გ—26 ნოემბერს მოწვეული იქნა პარტამხანაგებისა და კომკავშირის წევრების შეერთებული დახურული კრება.

კრებაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. უჯრედი და ნაწილის აღმშენებლობა, 2. პარტიის დამხმარე ახკომკავშირელთა ჯგუფი, მისი ამოცანები და ორგანიზატორის გამოყოფა.

უჯრედი და ნაწილის აღმშენებლობა ვრცელი მოხსენებით იქნა გაშუქებული ამხ. დანელიას მიერ. მან დაწვრილებით აღნიშნა ნაწილის აღმშენებლობის ყოველი დარგის საქმეში უჯრედის საერთო ამოცანები და როგორი აქტიური უნდა იქნენ უჯრედის წევრები.

კრების პარტშემადგენლობამ მოხსენების ირგვლივ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც ის ფ ცს სდებს შესაფერი მონდომებით მოეკიდონ ყველა ვალდებულებების ასრულებას.

პარტიის დამხმარე კომკავშირის ჯგუფის მნიშვნელობის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ამხ. თორაძემ.

კრებაზე ამ მიზნით გამომუშავებული იქნა შემდეგი პრაქტიკული დონისძიებანი; ახალგაზრდა კომკავშირის ორგანიზაცია უნდა ჩაუდგეს და მიმაგრებული იქნას პირტიის უჯრედის იდეიურ ზეგავლენების საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ, შესაფერი აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების მიზნით; მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ლენინური აღზრდის მიღებას, ჩათრეული იქნას თვითეული წევრი ახ. მოძრაობის შემსწავლელ წრეში და დიდი ყურადღება მიექცეს მათში ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა ან ტრადიციების ღრმათ შეთვისების საქმეს.

კავშირის ორგანიზატორად არჩეული იქნა ამხ. ავაქოვი.

სამხკორი ელზაშვილი.

# ჩვენი მუშაობა.

**მე-2 მესანგრე და მე-2 საკავშირო ასეულები.**

1902 წელში დაბადებული გაზაფხულზე გამოწვეული წითელი არმიელების გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვების გამო, ჩვენი ასეულების კომუნისტების რიცხვი შემცირდა.

მაგრამ სულ მალე ახალწვეულების მოსვლის შემდეგ ისევ შეივსო უჯრედი, რითაც შესაძლებელი შეიქნა მუშაობის წარმოება.

ორივე ასეულის შეერთებული უჯრედში ამ ჟამად ირიცხება 12 კომუნისტი და 20 ახკომკავშირელი. უჯრედს ყავს გამოყოფილი პრეზიდიუმი 3 კაცისაგან შემდგარი, რომელიც აწარმოებს ენერგიულ მუშაობას.

უჯრედს აქვს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან, რომელიც გამოიხატება ურთი-ერთ წარმომადგენლების გაგზავნაში, ამხანაგების მიმაგრებაში, ურთი-ერთ კრებაზე დასასწრებად და სხ. ჩვენზე მომაგრებულია ლიტოგრაფიის უჯრედიდან ხუთი კომუნისტი და ჩვენგან კი არის მიმაგრებული მათზე 1 პარტ-წევრი. უჯრედის პრეზიდიუმმა დაანაწილა პარტდავალებები წევრების შეგნების და შეძლების მიხედვით. აქვს 1 იანვრამდი სამუშაო გეგმა შედგენილი, რომლის თანახმათ არც ერთი უჯრედის წევრი არ არის პარტიულ დავალების გარეშე.

უჯრედის პრეზიდიუმს აგრეთვე აქვს აღრიცხვა 1903 წელში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის წ. არმიელების, რომლებიც არიან მიწერილი აღნიშნულ ასეულებზე და მათთან ცოცხალი კავშირის შექმნის და მუშაობის გაძლიერებისათვის ცვალებადების მხრივ არჩეული ყავთ რწმუნებულები. გარდა ამისა უჯრედი ხელმძღვანელობს ასეულებში წრეებს და გირთვებს, ამუშავებს მათი მუშაობის გეგმებს ნაწილის სამხკომთან შეთანხმებით და აწვდის ყველა წრეების ხელმძღვანელებს.

პარტიული დისციპლინის საკითხი თავის სიმაღლეზე სდგას. ახალწვეულებს, ძველი წ. არმ. და უფ. პოლიტ შემადგენლობას შორის არის კარგი და ამხანაგური განწყობილება.

ახალწვეული კომუნისტები და ახ. ლ. კ. კ. წევრები აქტიურად ეკიდებიან როგორც სამხედრო, ისე პოლიტ. საგანმანათლებლო საქმეების შესწავლას, რაიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი პარტ-დავალებებს ყოველთვის პირნათლად და უყოყმანოთ ასრულებენ.

უპარტიოთა ლტოლვა პარტიისაკენ დიდია. შემოაქვთ განცხადებები მომზადებულ კომკავშირის წევრებს კ. პ. რიგებში გადარიცხვის შესახებ. უპარტიოებიც ბევრი მოითხოვს პარტიაში მიღებას.

სამხკორი სანდროშვილი.

# საქართველოს ცაკში.

— **საქართველოს კონსტიტუციის** პროექტის განსახილველათ საქ. ცაკის პრეზიდიუმმა აირჩია ცალკე კომისია.

— **მებაღეობა.** საქ. ცაკმა დაავალა ტფილისის აღმასკომს მოახდინოს ტფილისის ბაღების გამოკვლევა და მიიღოს ზომები მებაღეობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

— **ახალი ათონი.** დამტკიცდა აფხაზეთის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება ახალი ათონის სახელწოდების შეცვლის შესახებ „ფსირცხა“-თ.

— **ყიზლიარის** (დაღესტანში) საოლქო აღმასკომის შემადგენლობის თანახმად, ცაკმა წინადადება მისცა საქ. განათლების კომისარიატს გაგზავნოს ყიზლიარის ოლქის ქართული სოფლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები და საზოგადოთ უხელმძღვანელოს აღნიშნულ სოფლებში კულტურულ მუშაობას.

# ამბები სოფლებიდან.

**თოვლი რაჭაში.** ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში რაჭაში მოვიდა ერთ არშინამდე თოვლი, რომელიც ბარ ადგილებზე უკვე აიღო.

**ბრძოლა ნიაღვართან.** თელავში შეუდგენ იმ ადგილების შეკეთებას, საიდანაც მოსალოდნელი იყო ქალაქზე ნიაღვარის მოვარდნა.

**გორში უკვე** მოეწყო საერთო საცხოვრებელი ბინა მაზრიდან ჩამოსულ მუშაკებისათვის.

**ბაღდადის რაიონში** (ქუთ. მაზრა) გადაწყვეტილია მოეწყოს სახალხო სასამართლოს სესიები.

**სენაკის აღმასკომმა** დააკმაყოფილა ზემო ქალადიდის გლეხების შუამდგომლობა აფთიაქის გახსნის შესახებ.

# ახალი ამბები.

— ვინ ემზადება პოლიტხელად. მწვევამდელთა პოლიტხელების გადასამზადებელ სემინარებზე (კურსებზე) მსმენელები გაგზავნეს ახკომკავშირის და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებმა.

— პოლიტგანათლებამ შეიძინა პლაკატები, სურათებით და სხვა საჭირო მოწყობილობა სამოსწავლო წერტებისთვის დასაგზავნათ ადგილზებე.

— მიწათ-მოქმედების კომისარიატი ასურეთში აწყობს ამერიკული ვაზების სანერგეს.

— ტფილისის აღმასკომმა მიანდო, აღმასკომის საგეგმო კომისიას გამოიმუშაოს ნიხრი ზაჰესის ენერგიის მოსახმარებლათ.

— გუთნები საზღვარ გარეთიდან. ახლო ხანში ა. კ. სახელმწ. ვაჭრობის კომისარიატი მიიღებს გერმანიიდან 17 რონოდა ახალი ტიპის გაუმჯობესებულ გუთნებს.

— თესლეულობის დამზადება. მიწ. მოქ. კომის. სატყეო განყოფილებამ გარე-კახეთში შეაგროვა თეთრი რცხილის და მაჟალოს თესლები არა ტყიან ადგილებში მოსაშენებლად.

— ხელოვნური ხელფეხი. ჯანსახკომის ხარჯთაღრიცხვით მაზრებს გაუნაწილდებათ ინვალიდებისათვის ხელოვნურ ხელფეხის შესაძენათ შესაფერი თანხა.

— ექიმთა რიცხვი. თვითმპყრობელობის დროს მთელ საქართველოში სამსახურში ირიცხებოდა 480 ექიმი, ამჟამად კი 1434 ექიმი მუშაობს.

# საბჭოთა არჩევნების მსვლელობა.

თფილისის მაზრაში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად არჩეულია ცალკე საარჩევნო კომისია.

კვირას, 6 დეკემბერს საარჩევნო კომისიას განზრახული აქვს მოიწვიოს უპარტიო გლეხთა ყრილობები მანგლისის, საგარეჯოს, აღბულის, ასურეთის და გომბორის თემებში.

ყრილობებზე გლეხებს განუმარტავენ მომავალი არჩევნების მნიშვნელობას და თემაღმასკომებისა და თემსაბჭოების საქმიანობისა და მუშაობის შესახებ.

13 დეკემბერს ამგვარივე ყრილობა მოწვეულ იქნება დილომში.

# უცხოეთის არმიებში

**ლატვია-ესტონეთის სამხედრო დაახლოვება.**

როგორც ერთ-ერთი პოლონელი გაზეთი იტყობინება ტალინში ჩავიდენ ლატვიის 8 ოფიცრები, თითო ოფიცერი თითეულ სახის იარაღის ნაწილიდან, რომლებშიც ერთი წლის განმავლობაში შეისწავლიან ესტონეთის არმიის ყოფა ცხოვრებას და ესტონურ ენას. ასეთივე მისიით და ამოდენივე ხნით ესტონეთმა მიავლინა ლატვიის არმიაში იმოდენივე ოფიცრები, რომლებიც უკვე განაწილებულ იქნენ ლეგიონებში და ეწევიან სამხედრო სამსახურს.

**შვიდი დაწუნებული ვაგონი გაზების საწინააღმდეგოებით.**

ამ უკანასკნელ დღეებში სპეციალურმა კომისიამ რევიზია გაუკეთ ასკარაზისკოს ქარხანას, რომელიც ამზადებს ქიმიურ გაზების საწინააღმდეგოებს. კომისიამ აღმოაჩინა, რომ შვიდი ვაგონი გაზების საწინააღმდეგო, რომლის ღირებულება აღწევს 7 მილიონ ოქრომდე, სრულიად უვარგისი არიან გამოსაყენებლად.

**ჰაეროპლანი—ნაღმოსანი.**

ამ დღეებში, ინგლისში მოახდინეს ახლად დამზადებულ ჰაეროპლან—ნაღმოსანის გამოცდა. ჰაეროპლანზე მოთავსებულია სანაღმო აპარატი, რომლის შემწეობით სწარმოებს ნაღმების გასროლა მოწინააღმდეგის გემების წინააღმდეგ.

გამოცდამ, რომელიც მოხდა იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის და ისპანიის საზღვაო ატაშეების თანდასწრებით, დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიტანა.

# უმთავრესი ყურადღება ექცევა შუბებს.

**პოლონეთის საკავალერიო წესდებიდან.**

იარაღის მოხმარისათვის სწავლება პოლონეთის ცხენოსან ნაწილებში ძლიერ კარგად არის დაყენებული და განსაკუთრებით მთავარი ყურადღება ექცევა შუბების მოხერხებულად ხმარებას. ეს განყოფილება საკავალერიო წესდებაში ძლიერ საფუძვლიანად არის დამუშავებული. წესდებას ზათვალისწინებული აქვს ცხენოსანი ჯარისკაციდან ისეთი მეომრის მომზადება, რომელიც არა თუ მოხერხებულად მოიგერიებს იერიშს და შეტევაზედაც გადავა, არამედ მას უნდა შეეძლოს ზუსტი სროლაც.

პოლონეთის კავალერისტი წარმოგიდგებათ როგორც მეტად დახელოვნებული და გამოცდილი ფარიკაობაში, როგორც ცხენოსნობის, ისე ქვეითა სამსახურის პირობებში. წესდება დიდ ყურადღებას აქცევს როგორც ვსთქვით შუბს.

ასეთი საფუძვლიანი მეცადინეობის შემდეგ შუბზე, პოლონელი ჯარის კაცი იმდენად ეთვისება ამ იარაღს, რომ უმისოდ მოქმედება აღარც კი შეუძლია. პოლონური ცხენოსანი ჯარი შეიარაღებულია აგრეთვე კარაბინის სიმცვარი სისტემის შაშხანეში: მაუზერის, მანლიხერო და ბერტიეს. წესდება ვრცლად ჩერდება თითეულ ამ თოფების აღწერილობაზე და საკმაოდ ვრცელ ცნობებს იძლევა მათი მოხმარების შესახებ.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ობჩელს.** (ცხენ. ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია: „დრო არის მიაქციოთ ყურადღება“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ოგანოვს.** (მე-5 ლეგ.). თქვენი წერილი: „ახალწვეულები ჩვენთან“ ერთხელ უკვე დაიბეჭდა. რა საჭირო იყო მეორედ მისი გამოგზავნა?

**ამხ. ო. მუსერიძეს.** (მე-6 ლეგ.). თქვენი პატარა ფელეტონი არ გამოდგა.

**რაირწმუნებულს ჩოხატაურიდან.** გვაცნობეთ ვინაობა, თორემ თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ამხ. ელზაშვილს.** (მე-6 ლეგ.). კორესპონდენცია „კალინინის საიუბილეო დღის შესახებ“ არ გავა. ამაზე იყო თქვენი ნაწილიდან. მეორედ არ დაიბეჭდება.

**ამხ. გუგუნაშვილს.** თქვენი წერილი სოფ. უდეს სკოლის მასწავლებლის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**ამხ. ა. კ—კ-ს,** წერილი „საქმიანობის მოკლე დეტალი“ არ გავა. სწერეთ სხვაზე.

**ამხ. ს. ჭიჭინაძეს.** (სამხედრო სკოლა) წერილი „საუბარი შინაურ საქონელზე“ არ გამოდგა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) გიორგაძე ალექსანდრეს და 2) შეყლაშვილი ამბროსის.

გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნული ამხ. ამხ. შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ-უჯრედის პ/მგ. მდ. ხუხუა.

1 ლ ქართულ მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიის კანდიდატებს ამხ. ამხ. 1) დავით გამრეკელის (ქ. ტფილისის მცხოვრები. 2) ტერიელ თოდუას (ქ. ზუგდიდის მაზრის) და 3) ალექსანდრე დეისაძეს (ქ. ქუთაისის მაზრის) რომლებიც თხოულობენ პარტიაში წევრად გადარიცხვას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ხსენებულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერათ 1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ას. კომ-უჯრედში.

კომ-უჯრედისი მდივანი შ. კვინიკაძე.

ნ. დ. ს. ც

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.